

შპს “ბიაი”

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს „ბიაი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

		შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები					
<i>მიმდინარე აქტივები</i>					
ფულადი სახსრები			4408	4271	27548
სავაჭრო მოთხოვნები	7.1		538487	628471	487106
მოთხოვნები გაცემული სესხიდან 7.2					188000
არამატერიალური აქტივები			4581	13965	23348
 <i>სასაქონლო მატერიალური</i>					
მარაგები	8		114265	167347	52456
წინასწარ გაწეული ხარჯები			19247	54824	47148
			680988	868878	825606
 <i>გრძელვადიანი აქტივები</i>					
ძირითადი საშუალებები	9		3329491	3314955	2087832
			3329491	3314955	2087832
სულ აქტივები			4010479	4183833	2913438

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

საეჭრო ვალდებულებები	11	337157	383260	372697
გადასახდელი ხელფასები		18265	17945	38252
საგადასახადო ვალდებულებები		38636	22718	23154
სხვა ვალდებულებები		3713	5357	4519
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	76000	14098
		397771	505280	452720

გრძელვადიანი ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები		149352	30812	0
ბანკის სესხი	10	1712075	2079640	792670
		1861427	2110452	792670

სულ ვალდებულებები

2259198 2615732 1245390

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		511873	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1239408	1567901	1667848

1751281 1568101 1668048

სულ ვალდებულებები და კაპიტალი 4010479 4183833 2913438

შპს „ბიაი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

	2022წელი	2021წელი
კლიენტებისგან და დებიტორებისგან მიღებული ფული	3454621	1831714
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		
კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2851204)	(1237119)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(184815)	(230849)
გადახდილი პროცენტი	(251936)	(114268)
გადახდილი გადასახადი	(88361)	(5632)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	78305	243846

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(0)	(1312299)
გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე	(64131)	(514379)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(64131)	(1826678)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება	180764	2491283
სესხის დაფარვა	(194801)	(1140164)
გაცემული სესხის დაბრუნება	0	188000

სესხის გაცემა		0
პროცენტის მიღება	0	20436
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(14037)	1559555
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება	137	(23277)
ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4271	27548
ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს	4408	4271

შპს “ბიაი“-ს 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	3	2674173	1740612
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(1767969)	(1000805)
საერთო მოგება		906204	739807
სხვა შემოსავალი	4	438898	209994
გარე ორგანიზაციებიდან მიღებული			
ხარჯი	6	(162648)	(145455)
ადმინისტრაციული ხარჯები		(46368)	(49104)
ცვეთა		(315056)	(237823)
საგადასახადო ხარჯები		(24276)	(19052)
ფინანსური დანახარჯები	5	(251935)	(140945)
დასაქმებულთა ანაზრაურება		(232572)	(232063)

იჯარა	(3000)	(7446)
სხვა ხარჯები	(372151)	(216006)
სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან	(851)	(1854)
მოგება დაბეგვრამდე	(63755)	(99947)
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	(63755)	(99947)
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში	1568101	1668048
დივიდენდები	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	246935	
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს	1751281	1568101

შპს “ბიპი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ბიპი“-ს ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებელი არის:

ზურაბ ჭარბაძე 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად

ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით

ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო-შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდწილად სახით
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა

3. ამონაგები

2022

ლარი

საქონლის გაყიდვა

2051072

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების აფასების შედეგად მიღებული შემოსავლები 264738 ლარი, დადებითი საკურსო სხვაობა 174160, სულ 438898 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2022

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(251935)

6. გარე ორგანიზაციებიდან მიღებული ხარჯი

დამხმარე მასალა და სათადარიგო ნაწილები

113969

ავტოსატრანსპორტო მომსახურება

31277

ავტომანქანების ხარჯი

8065

საბანკო

3320

თხევადი გაზი

57

საღარო-აპარატის მომსახურება	131
ტექდათვალიერება	329
შრომის უსაფრთხოების მომსახურება	5500
	162648

7.საეჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
	ლარი	ლარი
7.1 საეჭრო დებიტორები	538487	628471
	538487	628471

8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
	ლარი	ლარი
საქონელი და ნედლეული	114265	165505
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია	1901	1842
	114265	167347

9.ძირითადი საშუალებები

	მიწა; შენობა ნაგებობე ბი; დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	მანქა ნა დანად გარები	ტრანსპ ორტი	ინვენტარ ი და სპეციალ ური მოწყობი ლობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა და სხვა	სულ
თვითღირებულება						
01.01.2022	1350132	278300	1601751	83273	1499	3314955
შემოსვლა			193528	5139		198667
გადაფასება			190300	74438		264738
გასვლა			-143198			-143198
31.12.2022	1350132	278300	1842381	162850	1499	3635162
ცვეთა და გაუფასურება	-10661	-30183	-227192	-37336	-299	-305671
წმ.საბალანსო ღირებულება	1339471	248117	1615189	125514	1200	3329491
31.დეკემბერი 2021 / 31.12.2021	1350132	278300	1601751	83273	1499	3314955
31.დეკემბერი 2022/ 31.12.2022	1339471	248117	1615189	125514	1200	3329491

10.სესხები ბანკიდან

31.12.2022

31.12.2021

ლარი

ლარი

სს ტერა ბანკი

1712075

2079640

ფინანსური იჯარის ვალდებულება

149352

30812

1861427

2110452

11. სავაჭრო ვალდებულებები

31.12.2022

31.12.2021

337157

383260

12.ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია სამშენებლო მასალების საწარმო და სატრანსპორტო საშუალება.

31.12.2022

31.12.2021

ლარი

ლარი

3000

7446

3000

7446

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2022

2021

